

**„სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ დანართი N2 - სათბურის
მახასიათებლები**

სასათბურე კონსტრუქციის მახასიათებლები

გვერდითა კედლების სიმაღლე 2.1 მეტრი, კეხის სიმაღლე 3.6 მეტრი, ფერმებს შორის მანძილი არაუმეტეს 2.5 მეტრისა.

სათბურის საყრდენ ბოძებად გამოყენებული უნდა იყოს მეტალის კვადრატული პროფილი (5სმX5სმ), სისქე არანაკლებ 3მმ. არკის სიმაღლე არკის ფუძიდან უნდა შეადგენდეს 1.5 მეტრს, არკის რკალისათვის და ფუძისათვის გამოყენებულ უნდა იყოს მეტალის კვადრატული პროფილი (3სმX4სმ), სისქე არანაკლებ 2მმ, ხოლო არკაში ვერტიკალურ სამაგრებად მეტალის კვადრატული პროფილი (3სმX4სმ), სისქე არანაკლებ 2მმ (ორი ცალი სამაგრი 6მ სიგანის შემთხვევაში, 3 სამაგრი 8 მეტრის და 4 სამაგრი 10 მ სიგანის შემთხვევაში).

სათბურის გარეთა გვერდითა კედლებზე (არკის და საყრდენი ბოძების შეერთების ადგილები) მოეწყოს სიგძივი ლარტყა, ასევე სიგძივი ლარტყა უნდა მოეწყოს არკის კეხში გარეთა მხრიდან ლარტყების მოსაწყობად და არკის ფუძეზე სათბურის მთელ სიგრძეზე გამოყენებული უნდა იყოს მეტალის კვადრატული პროფილი (3სმX4სმ), სისქე არანაკლებ 2მმ. სათბურის კონსტრუქციის თავში და ბოლოში უნდა მოეწყოს გამაგრებები კონსტრუქციის სიმყარის უზრუნველსაყოფად, ასევე უნდა მოეწყოს ლითონის გასაცურებელი კარები მილკვადრატით (3სმX4სმX2სმ) სისქე არანაკლებ 2 მმ.

კონსტრუქცია უნდა იყოს დაფარული ანტიკოროზიული საღებავით. სათბურის ორივე მხარეს სათბურის მთელ სიგრძეზე უნდა მოეწყოს სათბურის გვერდითა ფანჯრების ასაწევი კონსტრუქცია, გამოსაყენებელი მასალა 18მმ-იანი არმატურა.

	აღწერილობა
1	სათბურების კოლონების მოწყობა ლითონის მილკვადრატით 50მმX50მმX3მმ სიგრძით (2.1მ (ნულ ნიშნულის მაღლა)+0.65მ (ნულ ნიშნულამდე)) = 2.75მ (დაბეტონებით)
2	ლითონის ფერმების მოწყობა (ლითონის მილკვადრატი ფერმების რკალისთვის 30მმX40მმX2მმ, ლითონის მილკვადრატის 20მმX30მმX2მმ დახრილი გამბჯენები)
3	სახურავის კეხის ლარტყის, არკის ქვედა ფუძის ლარტყის, რკალის ფუძეების და კოლონებს შორის ლარტყის მოწყობა ლითონის მილკვადრატით 30მმX40მმX2მმ
4	კოლონების გამაგრებების მოწყობა ლითონის მილკვადრატით 30X40X2 (სათბურის თავში და ბოლოში)
5	ლითონის გასაცურებელი კარები (2 ფრთა) ზომით 2.1X2 მონტაჟი (გამოყენებული მასალა მილკვადრატი 30მმX40მმX2მმ)

6	კონსტრუქციის ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა
7	კაპრონის თოკი 1 სმ დიამეტრის
8	სათბურის გადასახური ცელოფანი - 6 ფენიანი ცელოფანი ულტრაისფერი და იისფერი სხივების დაცვით, ცვარის წარმოქმნის საწინააღმდეგო მახასიათებელით, სისქით არანაკლებ 150 მიკრონი
9	ცელოფნის დამჭერები - გალვანიზებული ცელოფნის დამჭერი ზამბარიანი პროფილი
10	მწერების საწინააღმდეგო ბადე - 50 მეში, რეცხვადი (სიგანე 1.5 მ)
11	ვენტილაციის სისტემა - გამწოვი ვენტილატორები თავისი ჟალუზებით (220 ვოლტი, არანაკლებ 14000 მ3/სთ ჰაერის გაწოვის შესაძლებლობა), გვერდითა ასაწევი ფანჯრები.
12	1-11 პუნქტების სამონტაჟო სამუშაოები

სასათბურე ფირის მახასიათებლები

არსებული 240 მ² სათბურის კონსტრუქციის (ზომები 6მX40მ, გვერდის სიმაღლე 2.1მ, კეხის სიმაღლე 3.6მ) აკლურვისათვის მასალების და სამუშაოების შეძენა, რაშიც შედის ცელოფნის საფარი, ვენტილაციის სისტემა, მწერსაჭერი ბადე, წვეთოვანი და ფერტიგაციის სისტემა (ამ უკანასკნელის მასალების შესყიდვა წარმოადგენს ბენეფიციარის თანამონაწილეობას).

სათბურის გადასახური ცელოფნის სპეციფიკაციები: ცელოფნის 6 ფენიანი ცელოფანი ულტრაისფერი და იისფერი სხივების დაცვით, ცვარის წარმოქმნის საწინააღმდეგო მახასიათებელით, სისქით არანაკლებ 150 მიკრონი.

ცელოფნის დამჭერი პროფილი: გალვანიზებული ცელოფნის დამჭერი ზამბარიანი პროფილი.

მწერსაჭერი ბადის სპეციფიკაციები: 50 მეში, რეცხვადი; სიგანე 1.5. მ.

გამწოვი ვენტილატორები: გამწოვი ვენტილატორები თავისი ჟალუზებით (220 ვოლტი, არანაკლებ 14000 მ3/სთ ჰაერის გაწოვის შესაძლებლობა); გვერდითა ასაწევი ფანჯრები.

კაპრონის თოკი, ფანჯრის კონსტრუქციის ასაწევად. დიამეტრი 10 მმ.